ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ N02

თბილისი
21 თებერვალი 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შ.პ.ს. „ ქ. თბილისის #3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“ (შემდგომში -შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის ნანა შარაშენიძის სახით და მეორისმხრივ „შპს გლობუსი ემ ბე““ “დირექტორი მაყვალა ბეშიძე (შემდგომში მიმწოდებელი)

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი შემოსავლის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს1) ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის (CPV კოდი: **30100000საოფისე მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა, საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერები და სხვა**) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 600,0 (ექვსასილარი და --0-თეთრი) ლარად. (შემდგომში `ხელშეკრულების ფასი~).

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. ვადები:

3.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ერთჯერადათ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
3.2. ადგილი:
3.2.1. თბილისი, ბ.პაიჭაძის ქ.N1

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. მიმწოდებელი არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს (საჭიროებისამებრ).

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. `მიმწოდებელი~ ვალდებულია:
6.1.1.უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
6.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
6.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1.უზრუნველყოს `მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების

შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

7. მხარეთა უფლება

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის

აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს გენერალური დირექტორინ.შარაშენიძე

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 ოქტომბერი ჩათვლით.

14. განსაკუთრებული პირობები
14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „ქ.თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი"
საიდენტიფიკაციო კოდი N: 202051670
საქართველო,ქ.თბილისი-ზ.ჭავჭავაძის ქ. N7
ბანკი: ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ანგ N: GEO5VT6500000003033602

ტელ: +995 032 295 08 26
ელ.ფოსტა: pnomermesame@yahoo.com

ნანა შარაშენიძე
გენერალური დირექტორი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „გლობუსი ემ.ბე"

საიდენტიფიკაციო კოდი N: 202446969
საქართველო, ქ.თბილისი - დ/მასივი, VI კვარტალი; კორპ - 18
ბანკი: ს.ს. „ პრო-კრედიტ ბანკი"
ანგ N: GE63PG0203601000071032

ტელ: +995 032 251 75 18

დირექტორი: მაყვალა ბეშიძე